

ნინი ბარნაველი
რუსუდან ჭუბაბრია

ჰეი, ნინიიიიიიიიიი
სანჩაკულია, აუუუუუუუუუუუუუუ

საოცარია ზღაპრის სამყარო... იქ თუ ფეხი შეგიცდა, მთელი ცხოვრება მონუსხული დაიარები და მისი მომაჯადოებელი ძალა სიკვდილის კარამდე მიგყვება. რამდენ წიგნს გაუვლია ჩვენს ხელში, რამდენს ავუღელვებიათ, ხანდახან ცხარე ცრემლითაც გვიტირია, უიმედობა მოგვძალებია, ზოგჯერ არ მოწონებულნი გულგრილად გადაგვიდია გვერდით და აღარც არასდროს დავბრუნებიათ... გვახსოვს ემოცია, მაგრამ სიუჟეტი საუკუნო დავიწყებას მიეცა... მაგრამ ზღაპრები სამუდამოდ ჩაიბეჭდა – ამოგვირისტდა ჩვენს ცნობიერებაში და „წარუშლელ ნაწიბურებად“ დააჩნდა... ნატყვიარივით... იქნებ იმიტომ, რომ ზღაპარი პირველი ძლიერი შთაბეჭდილებაა, რომელმაც ღრმა ხნულებად გაიარა ჩვენს თოთო გონებასა და სუფთა გულებში. ჩვენ ხომ ზღაპრებით „ავიდგით ფეხი“, ვირწმუნეთ სიკეთის უპირატესობა ბოროტთან ჭიდილის დროს, დავიწყეთ ფიქრი და ოცნება, შეუძლებელის შესაძლებლობაც დაეუშვით... ზღაპრებმა ხომ ცხოვრების ანზანის რამდენიმე ასოც შეგვასწავლეს, განა ყველა ზღაპარს კეთილი ბოლო აქვს? გავიხსენოთ თუნდაც ანდერსენის “სირინოზი” და მისი საოცრად ამაღლებული და გულისდამანგრეველად მძიმე აღსასრული, ანდა ოსკარ უაილდის „ბედნიერი უფლისწული“, ბებია რომ მიკითხავდა და დღემდე რომ მოსვენებას მიკარგავს... აგერ უკვე 50-ს გადავაბიჯე და გულწრფელად მჯერა, რომ ასეთი რამ მართლაც შეიძლებოდა მომხდარიყო. „მომაჯადოვეს“ განუკურნებლად. ტყუილად კი არ ჰქვია ასეთ ზღაპრებს “ჯადოსნური ზრაპრები”.

ზღაპარი ანვითარებდა ჩვენს ტვინს, ემოციურად გვამდიდრებდა. ძილის სამყაროც ძალიან წააგავდა ზღაპრებს თავისი უკიდევანო შესაძლებლობებით და ფრთაგაშლილი უმართავი ფანტაზიით, სიზმრებს ისე „გუყურებდი“, როგორც საოცარ ფილმებს. თუნდაც ის რად ღირს, რომ ამ ძილის საოცარ სამყაროში „გადავეყრებით“ ხოლმე ადამიანებს, რომელთაც „იმ იდუმალ და შეუცნობ ზღვარს“ კარგახანია გადააბიჯეს. ამ „მონახულებით“ ხომ რაღაცნაირად მაინც ვიკლავთ მათ მონატრებას.

ალბათ, ბევრს არ ხვდომია წილად ნეტარება გამხდარიყო ზღაპრის გმირი, მე კი მხვდა, სხვა უამრავ საოცრებასთან ერთად.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: ერთ წვიმიან დღეს ჩემი უახლოესი მეგობარი ნანა ფრიდონაშვილი-ბარნაველი და მე ბაკურიანის ნაწვიმარ-ტალახიან გზას მივუყვებოდით. ნანას ქალიშვილი და ჩემი ნათლული ნინი მაშინ 7-8 წლის იქნებოდა. ყოველთვის ფიქრიანი, გარინდული. თავიდანვე ეტყობოდა, რომ მის სულიერ სამყაროში დიდი „ვულკანები“ ბუყბუყებდნენ. მოგვიანებით ეს ფერად-ფერადი ვულკანები საოცარი ძალით იფეთქებენ და ნინი გაგვაოცებს თავისი საფორტეპიანო კონცერტებით (ამას მე უკვე ამერიკიდან გავადევნებ თვალყურს), საოცარი ფერწერული ნამუშევრებითა და ქანდაკებით... ჯერ კი ნინი სულ 7-8 წლისაა და ნატრობს, რომ ვიღაცამ წერილი მისწეროს. ამის შესახებ ნანამ შემატყობინა და ჩემმა პირველმა წერილმაც არ დააყოვნა. ამასწინათ იმ დასკვნამდე მივედი, რომ არა უფროსები (ან, თუ გნებავთ არა მარტო უფროსები) ღზრდიან ბავშვებს, არამედ პირიქით და ხშირად არცთუ სწორი მიმართულებით. ნინი სწორედ ის ბედნიერი შემთხვევა აღმოჩნდა, რომელმაც ჩემს განვითარებას ხალისიანი მუხტი მისცა და ჩემი სამყარო არაჩვეულებრივი ათინათით ააელვარა. სამი წლის განმავლობაში მე ცის კაბადონზე ვეკიდე და ნებიერად ვსერავდი ცის უძირო სარკეს, ნინი კი დაჟინებით დამსდევდა და ჩემს „ამოცნობას“ ლამობდა და ამომიცნო კიდევ.

მაგრამ... დიდი მადლობა ამ „გაფრენისთვის“. დიდი მადლობა ნანას ამ შესანიშნავი „პროექტისთვის“ და იმისთვის, რომ ეს მიმოწერა შემოინახა.

დიდი მადლობა პატარა ჯანეტა არჩვაძეს, სწორედ მან შემირჩია სახელი „სანჩაკულია“.

იქნებ, სხვებსაც ჰქონიათ მსგავსი და იქნებ უკეთესი მიმოწერაც, რომელიც სხვადასხვა მიზეზთა გამო მკითხველმა ვერ იხილა, მაგრამ ჩვენ რატომღაც დაგვენანა ამ წერილების ფოლდერებში შენახვა და თქვენთვის არ გაზიარება, რადგან გულწრფელია და კეთილი. იმედია, არა ერთხელ გაგელიმებათ და დაგვინახავთ. თან ნინიმაც თანხმობა მომცა. მისი ნებართვის გარეშე აბა მე მარტო რას გავხდებოდი????

ხოდა... გელით...

წერილი 1

გამარჯობა!

შენ ვინ ხარ? ნინი თუ ირინა? სულმთლად დავიბენი, ვერაფერი გავიგე, შენ რომ დაიბადე, მგონი ზამთარი იდგა, ზამთრის 28 რიცხვი იყო, ხო? ხო... ეგრე იყო. მე ფეხი დამისხლტა ღრუბელზე ყოფნის დროს. ჩამოვსრიალდი და ხის ტოტზე მოვადინე ზღართანი. მერე კარგად მოვიკალათე და ჩემს მეშვიდე ქიმზე კოხტად მორგებული ნაქსოვი წითელი ქუდის გასწორებას შევუდექი (გამოგიტყდები და წითელი ფერი ძალიან მიხდება, თუმც არც სხვა ფერებთან ვარ მწყრალად). გვარიანად ციოდა... უი, მთლად დამავიწყდა მეთქვა, რომ მე რვაქიმიანი ვარსკვლავი ვარ. სანჩაკულია მქვია. ჩემს ყველა ქიმს ძალიან შესცივდა, მაგრამ მეშვიდეს მდგომარეობა მაინც მეტად სავალალო შეიქნა, პირდაპირ გაუსაძლისი. ღრუბელზე უგონოდ დაშვებული ძლივს მომასულიერეს ჩემზე უზომოდ შეყვარებულმა მზის სხივების შვილიშვილებმა (ისიც უნდა გითხრა, რომ ჩემი ბრაზიანი და ბუტია ხასიათისდა მიუხედავად ყველას ძალიან ვუყვარვარ)!!! ქართულად როგორ არის? „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო“, არა? ხომ სწორედ ვთქვი? ჩემს ენაზე კი ეს ასე ჟღერს: „პასკენცა ჰერიო ჰეროო საკა“, ლამაზი ენა გვაქვს არა ვარსკვლავეთში? ასეთ ლამაზად ჟღერად ენას დედამიწაზე რატომ არ ასწავლიან, მიკვირს.

ხო, იმას ვამბობდი – როცა დაიბადე, შენს საბუთებს, დაბადების მოწმობას ჩავხედე, ირინა ეწერა, აი ეს „ნინი“ კი, როგორც ბებიაჩემი მარსო იტყოდა, „საიდან გამოტყვრა“, არ ვიცი, ამიტომ დაბეჯითებით ვითხოვ ამ საკითხის გარკვევას.

ბრაზიანი ხარ? შენზე ბევრი რამ ვიცი, მაგრამ შენ რას ფიქრობ?

შენს კონცერტსაც დავესწარი და ცეკვის დროსაც თვალი არ მომიშორებია შენთვის. დაკვრის დროს შენს წინ ვარ ხოლმე ჩამომჯდარი, ვერ მხედავ??? არა.... დაკვრის დროს ხელებს რომ გადააჯვარედინებ ხოლმე მაინც..... უუუუუუ... რა ძნელია, როგორ


იმახსოვრებენ შენი თითები, რომელ კლავიშზე უნდა ჩამოჰკრან... მეც არა ერთხელ ვცადე, მაგრამ ჩემი რვავე ქიმი ისე გადამეხლართა ერთმანეთში, რომ დიდი ძალისხმევითა და წვალებით ძლივს დავაბრუნე თავის ადგილებზე...

იცი... ხანდახან ცუდ სიტყვებსაც ვხმარობ, მაგრამ უზრდელი არ გეგონო, ნურც ჩემი გამოსწორებით შეიწუხებ თავს. ჩემი არისტოკრატიული მწვანე სისხლის მქონე ნათესაობაც ვერაფერს გახდა...

ოპერაში ლოჟას ხავერდოვან ზედაპირზე ნეტარებით ჩამომჯდარს ერთმა ძონძროხა ქალმა, თეთრი ჟაბოებიანი გაქათქათებული საყელო დახრჩობით რომ ემუქრებოდა, ისე ღონივრად გამკრა ხელი, რომ ტყვიასავით გაეფრინდი და, რომ არა თქვენი მედღუზისებრი უზარმაზარი ბრჭყვიალა ბურთის მოგრძო საყურეები, რომელსაც სასოწარკვეთილი ჩავებლაუჭე, სული ძირს არ დამეყვებოდა.

რა უცნაური მზე გაქვთ... ხან ინთება და ხან ქვრება და ამისდა მიხედვით სცენაზე ფარდა ხან იღება და ხან იხურება.

გონს რომ მოვედი, მოცეკვავე გოგონათა გუნდს დავედევენე, შენ გეძებდი, მაგრამ გაგიგონია? აქაც არ გამიმართლა, ერთმა თეთრკაბიანმა, წითელ ბრჭყვიალაფეხსაცმლიანმა გოგონამ მისდაუნებურად ისეთი ჭიტლაყი ამომკრა, რომ კინაღამ შვიდივე ქიმი დავკარგე, წარმოგიდგენია ეს მშვენიება 1 ქიმიან, სტაფილოსავით უსახურ არსებად რომ ვქცეულიყავი? თან ახლახან გამომწერეს საავადმყოფოდან, სადაც 2 თვე პირველი და მე-6 ქიმის მოტეხილობით გავატარე. ამ ქიმებზე ვარდისფერი თაბაშირი დამადეს და თავს მეტად ეულად და მოუხერხებლად ვგრძნობდი. რატომ არ მეკითხები, რატომ მოიტეხეო? ააააააა... მკითხავ? სანამ მკითხავ, მე მანამდე გეტყვი. ჭეჭა გავაბრაზე და ქუხილმა სილა მტკიცა. აი ასეთი საინტერესო ცხოვრება მაქვს. როგორც ბებიაჩემი მარსო ამბობს – ძალიან არასერიოზული ვარსკვლავი ვარ და ჩემს დიდ წინაპრებს ვარცხვენ. რა ვქნა, ეგეთი ვარ და... მთავარია ვარსკვლავიანობა, თქვენებურად – ადამიანობა, ეს კი ძალიან მაღალ დონეზე მაქვს აყვანილი.



„დიდი მადლობა ნესტან-დარეჯან ჯიმშელაძეს
ამ არაჩვეულებრივი ვარსკვლავის შექმნისთვის”

„ნინი, აქ საზეიმო ფორმა მაცვია... ხედავ როგორ ვბრწყინავ. ორი ქიმი
ზურგზე მაქვს შემოწყობილი და ბოლთას ვცემ შენს მოლოდინში”



მანც ვერ გავიგე, რა გქვია?

თუ ჩემთან მეგობრობას მოინდომებ, გამეხარდება! მართალი გითხრა, შენსავით არაჩვეულებრივ გოგონასთან მეგობრობაზე, რაც ზრდასრულ ასაკს მივალწიე (ანუ 8 ქიმი ამომივიდა) დიდი ხანია ვოცნებობ.

ჩემი ფოსტალიონი ყოველი თვის 20 რიცხვში ეშვება დედამიწაზე, თუკი ვარდისფერი წვიმები ხელს არ უშლიან. შენი წერილი ბალიშის ქვეშ ამოდე და ის თვითონ მიხედავს. მომწერ? ვიცი, რომ მანდ ძალიან მოხდენილი და მოხერხებული კომპიუტერები გაქვთ. იცი, ყველაფრის შესახებ შემიძლია საუბარი, შენ კი გკითხავ – რას დამარქმევდი? და... როგორ წარმოგიდგენია, როგორია ჩემი ქვეყანა? მენდე, ნამდვილად გაგიმართლა და დიდი ბედნიერება გეწვია – ყველა ვარსკვლავი კი არაა ჩემსავით არაჩვეულებრივი? თან რვაქიმიანი...

რვავე ქიმს გიქნევ და გემშვიდობები.

კარგად... ჩვენებურად სანკატუპერუსანამი. ისეთი გრძელი სიტყვები გვაქვს, რომ ხანდახან მეც კი ვიტეხ ენას.

P.შ. მაპატიე, ბეჭდვა ახლა ვისწავლე და ასობს ზოგჯერ ვტოვებ, თან პირველ და მე-6 ქიმს ძლიერად ვერ ვურტყამ კლავიშებს.

ნინის პასუხი

მე ნინი მქვია. 28 იანვარს დავიბადე. შენ ვასკვლავი ხარ თუ მატყუებ? მე შენ ვერ გხედავ, როგორ მიზიხარ პიანინოსთან, მაგრამ ყოველთვის ვიცი, რომ იქ უნდა იჯდე. წერისას ცოტა შემეშალა, მაგრამ არაუშავს, მე შეიძლება უშნოდ ვწერ, მაგრამ ესეც არა უშავს. იმიტომ, რომ ღამე ვწერ, მთელი დღეები ბალეტზე და მუსიკაზე გავატარე, გაკვეთილიც ბევრი მქონდა, ამიტომ ღამეა და უშნოდ ვწერ. კომპიუტერით რომ დამიბეჭდე, საიდან გაქვს

კომპიუტერი? თან მიწერ, რომ „ამბობენ, თქვენთან მოხერხებულია კომპიუტერები” და თან თვითონ მიბეჭდავ კომპიუტერთ. რატომ? ესე იგი, შენ ვარსკვლავი არა ხარ! გემშვიდობები, ნინისგან.

წერილი2

გამარჯობა, ნინი!

მართალი გითხრა, შენთან მეგობრობას აღარ ვაპირებდი, ჩემი პატარა და მგრძნობიარე გული ლოდინისაგან დაიქანცა და გამოიფიტა. არა... ვარსკვლავები მაინც უფრო, როგორც ბებიაშენი ირა იტყოდა, „ოტზივჩივიე” არიან, ჩემი სიხარული იმანაც გაანელა, რომ სიმწრისა და ბოღმისგან მე-4 და მე-5 ქიმებს შორის პატარა ქიმი გამომივიდა და სრულიად დაანგრია ჩემი გრაციოზული და სიმეტრიული სხეული, ანდა ყველა ქიმი თანაბარი სიბასრისა და სიგრძის მქონდა. წარმოიდგინე, თავზე კოპი რომ ამოგივიდეს, მოგეწონება? ანდა შენდამი კეთილგანწყობის გამო ჯგუფიც კი გავხსენი და ქიმების გადაჯვარედინებას ვასწავლიდი პატარა ვასკვლავებს... შენ კი... არცკი გავხსენებთვარ ამდენი ხანია.

უცნაურია... ცუდად წერას გაპატიებ, მაგრამ უნდობლობას – არავითარ შემთხვევაში! იცი, უნდობლობა ვასკვლავეთის ჩემს ქვეყანაში ყველაზე შეურაცხმყოფელი რამაა. ვერც იმაზე დავხუჭავ თვალებს, რომ არც ერთ ჩემს კითხვაზე პასუხი არ გაგიცია, არც ჩემს მომხიბვლავ სურათზე გითქვამს რამე, აქაოდა დაკავებული ვარ, თითქოს „გამოვიჭირეო” – კომპიუტერებიო! ნამდვილი ჰოლმსი ხარ. ჯერ ერთი, კომპიუტერზე კი არა ბებიაჩემი მარსოს დანატოვარ ძველ საბეჭდ მანქანაზე ვბეჭდავ შენს წერილებს.

კარგახანია აღარც შენს ნოტებთან ჩამოვმჯდარვარ. რახანია ჩვენთან ოქროს წვიმებმაც გადაიარეს და ახლა იასამნისფრად, ზოგჯერ ნარინჯისფრად ჩამოთოვს ხოლმე. მოწყენილი ვარ და

იმედგაცრუებული... თან ძალიან გაბრაზებული, ამ დროს ფერს ვიცვლი და ჭრელი ვხდები, მუქი ლურჯი ფერი ჭარბობს, ქიმის წვეთები კი წითლად ღვივის... და მეფხანება...

თუ ისევ ასე მატკენ გულს, ნუ მომწერ! კიდევ ერთ შანსს გაძლევ და ვსიო... შანსს ვასკვლავთან სამეგობროდ, ვარსკვლავთან, რომელსაც რვანახევარი ქიმი აქვს, თუმცა ეს ნახევარი არაფრად სჭირდება. ამ პატარა ქიმს ნინიზე დარდი და ფიქრი ჰქვია.

ჩემი ფოსტალიონი 20 რიცხვში მანდ იქნება!

თუ გადაწყვეტ, წერილი ბალიშის ქვეშ ამოდე!

ნინის პასუხი

გამარჯობა!

შენ რომ დამიხატე პორტრეტი, ძალიან მომეწონა. შენი ბევრი კითხვა რომ გამომჩა, ჩემი ბრაღი არ არის, იმიტომ რომ დედამ შენი პირველი წერილი შემინახა და დაავიწყდა, სად შეინახა, ამიტომ ბევრი კითხვა ვერ გავიხსენე. მაინტერესებს – გოგო ხარ თუ ბიჭი? რამდენი წლის ხარ? პატარა ქიმი რომ ამოგივიდა, არ გაგიქრა? შენც სახლში ცხოვრობ? რატომ მოგიინდა მაინცდამაინც ჩემი გაცნობა? რატომ ვერ გხედავ? მე ძალიან მომეწონა შენი მარკებიც, საიდან მოგაქვს? საერთოდ მე გამეხარდა შენი გაცნობა და თან შენ ვარსკვლავი ხარ!

წერილი 3

გმადლობ, რომ დამიჯერე. საოცრად დიდი იყო ჩემი სიხარული შენი წერილის გამო. ვარსკვლავეთის ჩემი ორღობე ღრუბლებს შორის სულ წივილ-კვილით შემოვირბინე. სიხარული იმდენად

დიდი იყო, რომ პატარა ქიმი, წინიზე ფიქრი და დარდი რომ ერქვა, გასკდა და არაჩვეულებრივმა წითელმა ყვავილმა ამოხეთქა, შენსავით ლამაზმა და ნაზმა.

უნდა გითხრა, რომ მეწყინა, დედას რომ გადააბარე ჩემი წერილი, ამის შემდეგ შენ თვითონ შეინახე. არა, იმას კი არ გეუბნები, დედას დაუმალე და არ უთხრა, ჩვენი მეგობრობის შესახებ მეთქი, არა! მართო იმას გეუბნები, რომ შენ მიუჩინე ადგილი შენს წერილებს თქო.

მეც ბევრი შეკითხვა დამიგროვდა. ძველებიდან – როგორ წარმოგიდგენია ჩემი ქვეყანა? რას დამარქმევდი? მეტი აღარ მახსოვს... ხო.. კიდევ.. ის მაინტერესებს, სად პოულობ ასეთ ლამაზ საწერ ქარალდებსა და კონვერტებს?

ჩვენთან ასაკი (ისეთი, თქვენ რომ გაქვთ) არ არსებობს, უბრალოდ ვიცი, რომ მარსო ბებიაჩემია, ჯეკური – მამა და პაპაჩი – დედა. მათ მეგობრებსაც ასე ვიცნობ... ისე თაობები ფერებით განვსხვავდებით ერთმანეთისგან, მაგრამ როცა ვბრაზობთ, ყველანი ვმუქდებით და ქიმები წითლად გვიღვივის.

სქესი ცვალებადია, ხან გოგო ვარ და ხან – ბიჭი. აი დღეს, მაგალითად, ბიჭი ვარ და ძალიან მომწონს სტვენა. რა მოსახერხებელია არა, მშობლებს ერთდროულად ბიჭიც ვყავარ და გოგოც.

ვცხოვრობ ღრუბელზე. იმის მიხედვით, რა ხასიათზე ვარ, ის ფერს იცვლის, ახლა ოქროსფერია, რადგან შენ გწერ და შენზე ვფიქრობ. ყველა საგანი, შეგიძლია პლასტელინით ამოწელო ღრუბლის კედლიდან. ამჯერად მაგიდა და სკამი ამოწეულე, მე-7 და მე-8 ქიმი ტაკოს ქვეშ მოვიქციე და ვბეჭდავ. უკვე კარგად გამომდის.

დაელოდე 13 წელს. 13 წლის რომ შესრულდები, ხილული გავხდები და დამინახავ.

მარკები? ფილატელისტი ვარ და არც ერთ წერილს უმეთვალყურეოდ არ ვუშვებ. რომელი მარკაც მომეწონება, ენით ავაცლი ხოლმე (ვიცი, ცუდად ვიქცევი, მაგრამ რა ვქნა???) ყველა თვისება იდეალური ხომ არ მექნება???

შენთან დამეგობრება კი აი რატომ გადავწყვიტე.





პირველად დაიბადა ბავშვი ჩემს წინ, თან ასეთი ლამაზი და კიდეც იმიტომ, რომ იმ საღამოს ჩემი წითელი ჩაჩის გარდა შენზე ფიქრი მათობდა და მართობდა ცის კაბადონისკენ მიმავალ უსასრულო გზაზე. ისე ვიფრინე, ერთი წუთიც კი არ შემისვენებია.

მეც ძალიან გამახარა შენთან გაცნობამ და იცი, უკვე მიყვარხარ! არ მინდა შენი დაკარგვა. ველოდები შენს წერილს. ჩემი ფოსტალიონის დაგვიანების მიზეზი კი ისაა, რომ ფეთხუმია და სიჩქარისგან კლდეს დაეჯახა. საფოსტო ყუთიდან თუ ჩანთიდან წერილები, მათ შორის ჩემიც, ჩამოუცვივდა და ღრმად თოვლში ჩაეფლო. ფეთხუმის გარდა მშიშარაცაა და ზანტიც. ამდენი ხანი მზეს ელოდებოდა, რომ გაეშრო... ტუტუცი!

გიგზავნი ჩემს სურათს. სიხარულისგან დაელმებული ვარ.

მარკაზე ვერსალია გამოსახული. ხომ ლამაზია? აქ შენისთანა პრინცესები დაგოგმანობდნენ წინათ.

ნინის წერილი სანჩაკულიას

შენ ისეთი რამ მომწერე, რომ სულ ჭკუიდან შემშალე. მარკებს ენით როგორ აძრობ? არ იცი, რომ ქიმიანა??? ის წებო, რომლითაც აკრავენ მარკებს? ენით აღარ მოაძრო, თორემ მუცელი აგტკივდება, ან კიდეც ბოტკინი დაგემართება.

ხო, იმის თქმა მინდა, რომ შენ იცი ვის მაგონებ? ვისა და ჩემს ნათლიას, რომელსაც რუსა ჰქვია, ისიც შენსავით გადარეულია, ხან რას შემოურბენს, ხან რას გადაურბენს, შენც ხომ ესეთივე ხარ, წივილ-კივილით რომ გაგიყრუებია მთელი ღრუბელი.

ის მინდოდა მეთქვა, რომ შენი ფოსტალიონი ფეთხუმი კი არა, მე მგონი, ფეთიანია და, მგონი, ასეც არის.

მე ეს ქაღალდები ჩემმა მეგობარმა დაბადების დღეზე მაჩუქა.
მე ძალიან მომეწონა შენი, ანუ ვარსკვლავეთის ქვეყანა და შენც ძალიან მომწონხარ.

მე დაგარქმევდი მზისთვალას, იმიტომ რომ შენს ავტოპორტრეტებში სულ მზესავით ბრწყინავ.

შენი მარკა ისე მომეწონა, რომ კინაღამ დავეცი.

რაც შეეხება შენს წამწამებს, იმაზეც გავვიჟდი. საერთოდ ძალიან ლამაზი ვარსკვლავი ხარ.

2002 წლის 28 ოქტომბერი.

წერილს რომ დამიწერ, კონვერტზე ჩემი მისამართი დააწერე, შენი კი არა, იმიტომ რომ წერილი ისევ შენ დაგიბრუნდება.

წერილი 4

გამარჯობა ჩემო პრუწუკიაკია!

„პრუწუ“ ჩვენს ენაზე სათნოს ნიშნავს, „კია“ კი – „ძალიან“-ს. ესე იგი შენ ჩემთვის სათნოზე სათნო ანუ უ-სათნო-ეს-ი ადამიანი გახდი. გმადლობ ასეთი სიხარული რომ მომანიჭე და ჩემი სევდამორეული გული ასე რომ გამიხალისე. სიხარულისგან ისეთი სისწრაფით ვიცვლიდი სქესს, რომ ჩემი მშობლები შეშინდნენ და სიცხეც კი გამიზომეს.

დარდი ნუ გაქვს, ბოტკინი არ დამემართება, მე ხომ რამდენიმე ღვიძლი მაქვს და მათი გამოცვლა ისე შემიძლია, როგორც შენ – თმის სამაგრის. გმადლობ, ასე რომ მიფრთხილდები. ხო, კიდევ ერთი რამ! ჩემი წერილები აუცილებლად დახურულ სივრცეში უნდა მოათავსო. გახსოვს, მწერდი – დედამ შეინახა შენი წერილი და ვერსად მივაკვლიეო? ჩემი წერილები იმისდა მიხედვით, თუ წელიწადის რომელ დროს იწერება, ღამდამობით ან პეპლებად

(ზაფხულში), ფოთლებად (შემოდგომაზე), ფიფქებად (ზამთარში), წვიმის წვეთებად (გაზაფხულზე) გადაიქცევა ხოლმე და მერე მიდი და სდიე! იქნებ, ის წერილიც პეპლად იქცა... იცოდე, ზაფხულში თუ პეპლის გუნდს გადააწყდები, ეს უმეტესწილად გაბრაზებული, მისამართაბნეული და მისამართდაკარგული წერილებია.

გამეხარდა, შენს ნათლიას რუსას რომ მიმამსგავსე. ძალიან საყვარელი და ლამაზი ჩანს, მაგრამ, ვგონებ, ძალიან არასერიოზული უნდა იყოს თავისი ასაკისთვის, თუ მე მეჩვენება? არავის უთხრა, არც დედას და სრულიად შესაძლებელია, რომ ისიც ჩვენი პლანეტის მკვიდრი იყოს... წარმოშობით. აბა ფრთხილად დააკვირდი, მარცხენა ყურის უკან შემთხვევით სამი წითელი წერტილი ხომ არ აქვს? ეს ჩვენი ნიშანია.

გეთანხმები, ჩვენი ფოსტალიონის ბუნებას „ფეთიანი“ უფრო შეეფერება, მინდოდა დამთხვეული მეთქვა და ვერაფრით გავიხსენე. დიდი მადლობა დახმარებისთვის.

საოცარი სახელი დამარქვი, გმადლობ! ღმერთო ჩემო (ჩვენც გყავს ღმერთები), ეს წერილი შენს მიმართ განცდილი მადლიერების გრძნობით გაჟღენთილი გულის ნაგლეჯია. იმდენად შემრცხვა, რომ რამდენჯერმე ღრმად შევისუნთქე და წითელი ყვავილები უცბად ცისფრებად იქცნენ და საოცარი სურნელი დაატრიალეს ირგვლივ. შენ გრძნეულიც გამოდექი.

გკოცნი ბევრს, ჩემო პრუწუკიაკია და ველოდები მოუთმენლად შენს წერილს.

P.შ. ყოველი შემთხვევისთვის იცოდე ჩემი მისამართიც:

ვარსკვლავეთის ქვეყანა, მზის მე-9 სხივის ქუჩა, ვენერას ჩიხი, ღრუბელი 2. სანჩაკულიას!

ეს ყოველი შემთხვევისთვის, თორემ ჩემს ფოსტალიონს არ აერევა, ფეთიანი კია, მაგრამ მეხსიერება ჯერ კარგი აქვს, თან ჩემი ქუჩის გადაღმა ცხოვრობს ოქროს წვიმების გამზირზე.



ნინის პასუხი

სანჩაკულია,

მე წერტილები აღმოვუჩინე რუსას!

რუსას პირველი 2 წელი არ ჰქონია ის სამი წერტილი და შვიდი წელიც კი, რატომ? ჯერ ეს ერთიც, მე სამი ნათლია მყავს, რუსა, მეორე რუსა, რომელსაც ეკოს ვეძახით და მესამე გია, რომელსაც ფეხზე ერთი ტონა სიმძიმე დაეცა და ახლა ძლივს დადის. შენ გყავს ნათლიები? და ან ძმა? ახლა მეცა მყავს ერთი თქვენთაგანი – ცისთვალა. ის ხილულია. ქარს თუ იცნობ? მე არა!

შეიძლება უშნოდ ვწერ, იმიტომ რომ ავად ვარ და ცუდად ვგრძნობ თავს. ხო იმის კითხვა მინდოდა – იცნობ თუ არა მზეს? მთვარეს? მე, კი! ჩემს სახლში ცხოვრობენ მათი შვილები და ისინიც შენზე მიყვებიან ხოლმე. აი ახლაც ერთად გწერთ წერილს.

შენსავით მოელვარე ვარსკვლავი მყავს, ცისფერთვალემა და ხუთქიმიანი, მას ცისთვალას ვემახით. მთვარე მისი მამაა, ოღონდ პატარაა, ალეისე, ასე ეძახის მას ვარსკვლავი. თუ მოგინდება, შენც გაგაცნობ!

ახლა მათი ჯერია წერილის გაგრძელების.

ვარსკვლავი:

მე ძალიან მინდა შენი გაცნობა, მეც შენნაირად მზესავით ვბრწყინავ და ცისთვალას მემახიან.


თუ შენ მე გამიცნობ, ძალიან მოხარული ვიქნები.

მთვარე:

მეც ძალიან მინდა შენი გაცნობა. მე ვარსკვლავს ვგავარ, მაგრამ ფორმით სხვანაირი ვარ, ვარსკვლავით ცისფერი თვალემა მაქვს და, თუ გაგვიცნობ ორივეს, მიხვდები, რითაც ვგავართ ერთმანეთს.

მზე:

როგორც მიხვდი, მეც მინდა შენი გაცნობა. მე დიდად არაფრით ვგავარ ვარსკვლავს და მთვარეს, მხოლოდ გულკეთილობით.



წერილი 5

ჰოი, პატარავ, როგორ მოგაკვლი ჩემი მზრუნველობა და ფაქიზი მზერა. მაპატიე, მეზობელ პლანეტაზე ვიყავი – ზამთრის არდადეგების გასატარებლად და ჩემმა ფოსტალიონმა ვერაფრით მომაკვლია (რამდენი მოუსაზრებელი არსება ამდომებს სამყაროს...) ანდა ამ დროს ავად ყოფილხარ, ახლა როგორ ხარ? ხომ ტოკავ, ხომ იღიმები უმომხიბლავესად? ჰა?

რაიო? მთვარეს და მზეს თუ იცნობო? ქიმების ჩამორთმევა-ჩაბლუჯვით და პირზე კოცნით. მთვარე მამაჩემის გარე ბიძაშვილია, მზესთან მთლა ახლო ურთიერთობა არ მაქვს, ნამეტანი ცხელი რამაა, იკბინება და ჩემს მგრძნობიარე კანს მი-თუთქავს.

რაიო? მთვარის და მზის შვილები ცხოვრობენ შენს სახლში? უფრო დაწვრილებით მომწერე ამის შესახებ, თუ შეიძლება. გამოდის, რომ მთვარე შენი ვარსკვლავის მამაა? ანუ მამიკო? ნუთუ 2 მთვარე და 2 მზე არსებობს? სულ შევიშალე, თვალეზში მიორდება, მიშველეეთ... ბუხ!!! დავეცი!

რუსას რომ ყურს უკან წითელი წერტილები გაუჩნდა, ეს კარგია. თუ აქამდე ვერ ამჩნევდი, არც ესაა გასაკვირი, ეს იმიტომ, რომ ზრდა არ ჰქონდა დასრულებული. არ გაგიკვირდეს, თუ დილაობით გაუქრება, მერე კი ისევ გაუჩნდება. ერთი კი ნამდვილად და დაბეჯითებით შემიძლია გითხრა – ჩვენინანია!

ერთი შეკითხვა მაქვს, არა – ორი, არა – სამი:

1. რა საჭიროა ამდენი ნათლია?
2. რატომ გყავს ორი რუსა?
3. თუ რუსა ჰქვია, ეკოს რატომ ეძახით?

რაც შეეხება ქარს, მასთან ნაცნობობას დიდად არ დაგიდევ და იცი რატომ? ძალიან ქარაფშუტა წარმონაქმნია, ხომ არ შეიძლება სულ ღრუბლებს დასდევდეს და მიერეკებოდეს??? წაილო რა ტვინი...დადის და უსტვენს და უსტვენს... არა... უსაქმური რომ გაჩნდება ამქვეყნად...

მომწერე, ჯერ შორია მეორე არდადეგებამდე... ხო, მართლა, გიბრუნებ შენს წერილებს, მინდა, რომ შენ შეინახო.

თქვენთან, თუ არ ვცდები, ახალი წელი დგება!!!

მარად შენი სანჩაკულია

ნინის პასუხი

მე ერთხელ შენ სიზმარში გნახე, ეს სიზმარი საოცარი იყო. ვითომ ხილული იყავი და მომკიდე მერვე ქიმი და ცაში ამაფრინე. ცაში თქვენ ერთი სასახლე გქონდათ, სულ ცისფერი იყო და საფირონებით მორთული, თავზე თოვლისგან გაკეთებული ცისფერი ვარსკვლავი ედგა. შენ შემიყვანე შიგ, სასახლეში ნაირ-ნაირი ყვავილებით დაქარგული ხალიჩა ეფინა, ყველაფერი ცისფრად ზინავდა. უცებ გამოვიდა ოთახიდან თქვენი დედოფალი. მას თმაში და კაბაზე ციციანათელის ოდენა ვარსკვლავები ესხდნენ და ცეცხლივით ბრწყინავდნენ. მან ერთი ვარსკვლავთა წიგნი მომცა და გამეღვიძა. მინდა გავიგო, მართლა არსებობს ეს სასახლე და თქვენი დედოფალი?

გიგზავნი მზის, მთვარის და ჩემი ვარსკვლავის სურათებს.

მზე და მთვარე ვარსკვლავზე ცოტა დიდია, ფურცელზე არ დაეცია და პატარები დავხატე.

ახლა უარესად ავად ვარ. სკოლაში გათბობა არ გვაქვს და ფანჯარაც გატეხილია, იქ გავიყინე.

1. როგორც თქვი, ბევრი ნათლია არ არის საჭირო, მართალი ხარ, მე არ მჭირდება.

2. დედას უყვარს სახელი „რუსა“ და ამიტომაც ამირჩია ორი რუსა.

3. მე პატარაობისას მიყვარდა ასოები ე, კო. ამიტომ რუსას დავარქვი ეკო.

გილოცავ ახალ წელს. მრავალს დაესწარი და იყავი ბედნიერი. ხო, მე ეს იმისთვის დავხაზე, რომ გასწავლო წერა გერმანულად. წინადადების და არსებითი სახელის წინ დიდი ასოა, გამოწერე. ჯერჯერობით ეს ისწავლე, მერე კიდევ გასწავლი. ისწავლე ასოების გადაბმა.

რაო? მზის, მთვარის და ვარსკვლავის შვილები დედამიწელები არიანო? ახლა არ გამაცინო, ბუხ!!! ახლა სიცილით ვიხრჩობიიიი!!!! ისინი ხომ ციდან ჩამოფრინდნენ.

დილით ქვავდებიან და ღამე ისევ ცაში მიფრინავენ. ერთ ღამეს არ გაუშვი ცაში და წერილი დავაწერინე. თუ ცაში შეგხვდება ასეთი ვარსკვლავი, მთვარე და მზე, მოხარული ვიქნები. მზე არ წვავს, კარგია და კეთილი.

წერილი 6

ნინი, ეს რა საოცარი ახალი წელი მომიწყვე? ჯერ შენმა წერილმა და ნახატებმა ისე გამახარა... რომ ხტუნვისგან მთლად დავხვრიტე მთელი ღრუბელი და, რომ არა ბებიჩემი მარსო, ზღართანს მოვადენდი ჩემს ქვემოთ მცხოვრებ ერთ მეტად აბეზარ მეზობელთან. მერე იმდენი ვიყვირე, რომ მარსოს ჩემი მშობლების მოხმობა მოუხდა. მაინც ვერ დავიოკე სიხარულის მოზღვავებული კორიანტელი.

ჩემებს ისევე არ სჯერათ შენი არსებობა, როგორც კარლსონის ბიჭუნას მშობლებს. რას იზამ, უფროსები უცნაური ხალხია. არ სჯერათ და ნუ სჯერათ.

ხო მართლა, როგორ მოგეწონა ჩემი გამოგზავნილი ვარსკვლავი? ხო მართლა ძალიან ღამაზია? რომ იცოდე, ნიჭარების მიმაგრებას და ეჭვნების ჩამობმას რამდენი ხანი მოვანდომე... მაგრამ შენთვის დახარჯული არც ენერგია და არც დრო არ მენანება, შენ ხომ განსაკუთრებული ხარ...

რაც შეეხება შენს სიზმარს, მართლაც სასწაულია. ნეტავ შემემლოს შენი ჩემს ქვეყანაში წაყვანა.

რამდენადაც მესმის, ცისფერი ფერი ყველა ფერს გირჩევნია, ეს ნათელია. მინდა გითხრა, რომ დედოფლები დედამიწის კუთვნილებაა, ჩვენთან სოციალური თანასწორობაა... ისე კი, მართლაც ძალიან მომინდა შენს წარმოსახულ სამყაროში ცხოვრება და მაგ დედოფალთან მეგობრობა, მაგრამ თავს იქით ძალა არაა და რა გინდა, რომ ჰქნა???

ანბანმა დამაბნია, ჯერ გამიჭირდება მისი სწავლა, ნუ მიწყენ... მაგრამ ცოტა ზარმაციც ვარ, თან ამ დიდმა და პატარა ასოებმა





მთლა ამიბნიეს გონება. ჭკუიდან შევიშალე, ეს რა ნიჭიერი ხარ, ამდენ რამეს ან როგორ სწავლობ, ან როგორ იმახსოვრებ???? ანდა რა საოცარი გარეკანი აქვს შენს წერილებს, რა შესანიშნავი პეიზაჟებია. ერთი ისაა, რომ ვერ ვკითხულობ გერმანულად. უკვე არასრულფასოვნების კომპლექსი ჩამომიყალიბდა. მე ხომ ერთი რიგითი ვარსკვლავი ვარ, მართალია 8 ქიმიანობით გამორჩეული, მაგრამ გონებრივად მაინც ჩვეულებრივი... ცოტა დამინდე, რა... ოოო, შენი დახატული ქარბუქიც როგორი შთამბეჭდავია...

ამ შენს მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს რა ენეგია აქვთ ასეთი, ამხელა მანძილის დაფარვა ერთ დღეში შენ ხუმრობა ხომ არ გგონია, ან ისინი გირევენ ტვინს, ამ შენ მადურაკებ. მე მაინც მგონია, რომ შენ მელაპარაკები მზის, მთვარის და ვარსკვლავის ნაცვლად.

რა ამბებია სკოლაში. ჩაგირთეს გათბობა? ფანჯარა ისევ ჩატეხილია? რომ შემემლოს ჩემს მხურვალე სხივებს შემოგაჭდობდი და შემოგაჟღენთდი... ჰა ჰა ჰა... რა კარგად ვთქვი არა? არ გათბი?

ასაკის შესახებ მეკითხები... განა თქვენთან ასაკი განსაზღვრულია??? იცი, როცა ჩვენ კაშკაშით ვიღლებით, ცოტა ხნით დედამიწაზე ვეშვებით. ამის დანახვა კი ავვისტოს ცაზე შეგიძლია. დაწევი მიწაზე გვიან ღამით, ხელები თავქვეშ ამოიდე და უყურე მოჭედოვ ცას და დაინახავ, რომ ცრემლებით სცვივა ცას ვარსკვლავები. მაგრამ ამ დროს არ ტირის ცა, იცინის... ეს სიხარულის ცრემლებია.. ვარსკვლავები საოცარი სისწრაფით ეშვებიან... ო, ეს სრიალი ისეთი ნეტარების მომგვრელია.. წარმოიდგინე, რომ უმაღლესი მწვერვალიდან ციგით ეშვები... აი ასეა ესეც... საოცარი სიჩქარით მიექანები ჭრელი ბურთისკენ, რომელსაც დედამიწა ჰქვია და, სადაც შენ მეგულები...ზოგი ვარსკვლავი გვირილად იქცევა ხოლმე, ზოგი ხვლიკად, ცხელ ქვაზე გაწვება და მზეს ეფიცება, ზოგი კი ზღვაში ჩავარდება, ან ზღვის ნაპირას ეშვება, მხურვალე სხეულს წყლის ქაფით იგრილებს, თან შენისთანა პატარა გოგონების ლამაზ ტერფებს აპყურებს, ეალერსება და ხანდახან ხუმრობით კბენს კიდეც....

რაც შეეხება იმას, თუ რატომ დაგიბრუნე წერილები? მგონი, ამას ახსნა არ სჭირდება, მაგრამ კარგი, მაინც გეტყვი! როცა მე კენჭად გადავიქცევი (ასე ვარჩიე), მეშინია, ამ წერილებს ვინმე არ გადააწყდეს და უდიერად არ მოექცეს, ანდა. ხომ გითხარი, ისინი შეიძლება პეპლებად იქცნენ და ფაფუ... სდით მერე მათ კვალს. შენთან ყულაბაში მაინც უფრო საიმედოდ შეინახება, არა, არ მეთანხმები?

თუ შეგიძლია, მიპასუხე:

1. რომელი ნათლიაა შენთვის ზედმეტი?
2. რატომ უყვარს დედაშენს სახელი რუსა? საიდან მოდის გნოსეოლოგიური ფესვი?
3. რამ გამოიწვია ბავშვობაში ასო „ე“-ს სიყვარული? ახლა რომელი ასო მოგწონს?

ვიხუთიგნე და ეს ლამაზი ბარათი დედამიწაზე გაზეთების კიოსკის გამყიდველს ავაცალე. ხომ გითხარი, იდეალური არა ვარ მეთქი... რა ვქნა, იმდენად მომეწონა, რომ ცთუნებას ვერ გავუძელი. მომიტევე შენც და გამყიდველმაც.

გემშვიდობები, დროებით ხოლო?

სანჩაკულია.

ნინის პასუხი

ჩემი წერილის დაგვიანების მიზეზი ის არის, რომ მე შენზე და ჩემზე ზღაპარს ვწერდი და დრო აღარ მეყო და ამიტომ დროზე ვერ მოგწერე. მეც დიდ ბოდიშს გიხდი და თან ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ზღაპარია გასაგიჟებელი. როცა დავბეჭდავ, გამოგიგზავნი.

მე დიდ მადლობას გიხდი იმ ვარსკვლავისთვის, რომელიც შენ გამომიგზავნე.

მე შენთან სამი შეკითხვა მაქვს:

1. რას ნიშნავს გნოსეოლოგიური ფესვი?
2. შეგიძლია თუ არა შენს ქვეყანაში ჩემი წაყვანა?
3. რატომ ვერ გხედავ მე ახლა?

რაც შეეხება შენს შეკითხვებს:

1. არ ვიცი, რატომ, მაგრამ დედას უყვარს სახელი „რუსა“.
2. ჩემთვის ზედმეტი ნათლია არც ერთი არ არის. ახლა მიყვარს ასო „ჰ“.

იცი, 28 იანვარს ჩემი დაბადების დღე იყო, შენი როდისღა არის? მეტი აღარ იქურდო, ამ ერთს გაპატიებ და მეტი აღარ დავინახო! ჰა?! გესმის?!!!!

წერილი 7

ჯუ, ჯუ, ჯუჯალარი, ჯუ ჯუ ჯუ ჯუ ჯუჯალარი. საშინლად მომენატრე!!!

საშინლად მომწონს ეს სიმღერა, თქვენებურია?
როგორ ხარ, ჩემო პრუწუკიაკია?

ცის კაბადონზე დავსრიალებ, იცი, რა კარგიაააა.

რაცაღ მზის და თოვლის სურნელი აგდის (ასე ვგრძნობ ვარსკვლავეთიდან). ოოო. როგორ მაინტერესებს შენი ზღაპრები, რომ იცოდე, როდის დაბეჭდავ?

წინა წერილში სულ დამავიწყდა მადლობა მეთქვა შესანიშნავი საჩუქრისთვის, უზრდელობაში არ ჩამომართვა, მაგრამ...თხილის ჩურჩხელა მეგონა, მართალია, ბოლო ვერ მოვუნახე და ერთიანად მოვინდომე გადაყლაპვა. ნუ მკითხავ ნურაფერს... აქამდე კბილის ექიმთან დავრბივარ, ეტყობა, რაღაცას ვერ მივხვდი, მე ხომ ვარსკვლავი ვარ? მართალია რვაქიმიანი, მაგრამ მაინც რიგითი... არა უშავს, მაინც ძალიან გემრიელი იყო, მაგრამ რა იყო? რა არის? „თხილის აცმა“. ჩემს ცისფერი საფირონის ზარდახშაში ჩავასვენე

და ყოველ დღე ჩემი ჩალისფერი ვარდის სუნამოთი ვნამავ და რაღაცას ვუცდი... ვფიქრობ, მაინც შენი ინსტრუქციები მჭირდება,

მართალი რომ გითხრა, არც მე ვიცი, რას ნიშნავს „გნოსეოლოგიური ფესვი“, თორემ არ გკითხავდი, უბრალოდ ჟღერადობა მომეწონა. შენც ხომ მოგწონს ასო „ჰ“. ვიცი, რომ ეს, როგორც უფროსები იტყვიან, ფილოსოფიური კატეგორიაა. ფესვი, თუ ცოცხალია, რაღაცის საწყისი უნდა იყოს და აუცილებლად კარგის, რადგან ბოროტების დასამახსოვრებლად ჩემი ტვინის უჯრედები არ არიან „განწყობილნი“.

ჩემს ქვეყანაში ჩამოსვლაზე... ჯერ ჩუუუუუუუუ... ეს, როგორც უფროსები იტყვიან, ტაბუდადებული თემაა, ანუ კატეგორიულადაა აკრძალული, ფერშტეენ?

შენ კი მხედავ, მაგრამ არ იცი, რომ ეს მე ვარ!

ასო „ჰ“-ზე მეც ვგიჟდები, მაგრამ „ჰ“ მთლად მშლის ჭკუიდან, ეს ბოლოს მიმაგრებული ბაფთა, ასეთი ჰაეროვანი და ლაღი... საოცრებაა...

გილოცავ დაბადების დღეს და უამრავს გკოცნი აქედან. თქვენი ანგარიშით სადღაც 20 თუ 22 თებერვალს უნდა ვიყო დაბადებული მეც. მოკლედ, ორივენი ზამთრისანი ვართ.

მაპატიე, რომ ვიქურდე, ვიცი, ცუდად მოვიქეცი, მაგრამ ამის გამოსწორება მხოლოდ იმითღა შემიძლია, რომ უკან დამიბრუნო ის ღია ბარათი, რომელიც კიოსკის გამყიდველს ავაცალე... აბა ასე რა გამოვიდა? მარტო მე ვარ დამნაშავე???

გიგზავნი ცისფერ ავტოკალამს. წინა წერილი ფანქრით რომ დამიწერე, პასტა არ გქონდა?

ველოდები შენს პასუხს. შენი სანჩაკულია.

ფრიიიიიიიიიიიიი.

ნინის პასუხი

ეს როგორ? ესე იგი, შენ იმის თქმა გინდა, რომ მე ვერასოდეს ვნახავ შენს ქვეყანას? კარგი, შენ თუ არ გინდა და მიკრძალავ, მაშინ მე თვითონ მოვალ და ჩამოვედი კიდეც! მე დიდიხანია დავრბივარ





შენს არაჩვეულებრივ ღრუბელზე, ჩემს ოცნებაში დიდ ხანია უკვე ვფრინავ შენს ქვეყანაში ნებისმიერ ვარსკვლავზე უკეთ და ვტკბები შენი გონებით, სიგიჟით და სიმშვენიერით. გიგზავნი ზღაპრის პირველ თავს, იქ ვწერ, თუ როგორ წარმომიდგენია შენი ქვეყანა.

იცი, ჩემმა მასწავლებელმა მთელი კლასის წინ წაიკითხა ჩემი ზღაპარი. მას ყველა გასუსული უსმენდა.

სანჩაკულია... მაინც ჩუმად რომ წამიყვანო შენს ქვეყანაში? ან ის მაინც მითხარი, როდის მოვხვდები შენს ქვეყანაში? ან მოვხვდები თუ არა საერთოდ? მე კი ძალიან მინდა.

მე კი იმიტომ ამდის თოვლის და მზის სუნი, რომ მე ზამთარში ბაკურიანში ვიყავი! მე შენ საახალწლოდ საჩუქარი რომ გამოგიგზავნე, საჭმელი კი არ იყო, ჩემი ხელით გაკეთებული სამაჯური იყო, ის ქიმზე უნდა გაიკეთო! იგი ხომ სამკაულია. არც მე მენანება შენთვის დაკარგული დრო.

გიგზავნო სქემას.



1. სამაჯური



2. შენ



3. აი, ასე უნდა მოირგო

გილოცავ დაგვიანებით დაბადების დღეს!

ჩემო სანჩაკულია,

მაინც მითხარი, რად იქცევი ხოლმე შენ არ რამეთი მანიშნე. არ შეგიძლია? გთხოვ! წინა წერილი პასტით ვერ დავწერე, რადგან არ მიწერდა.

არ შეიძლება შენი ენა მასწავლო?

ნინი და ცის მცხოვრებლები

როგორ გაიცნო ნინიმ ვარსკვლავი სანჩაკულია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გოგონა ნინი. მის მახლობლად არც ერთი ბავშვი არ ცხოვრობდა, ამიტომ იგი ნატრობდა, რომ მას ბევრი მეგობარი ჰყოლოდა, მაგრამ ვერავის პოულობდა და იყო სულ მატროდმარტო. მას ძალიან უნდოდა წერილის მიღება. ერთხელ იჯდა ღია ფანჯარასთან და მარკებს ათვალიერებდა. უცებ დაუბერა ქარმა და შიგ მარკებში ჩაუგდო წერილი. ნინიმ სასწრაფოდ გახსნა. შიგ ეწერა:

ნინის!

მე არ მყავს მეგობარი, დილიდან საღამომდე ვუფრენ დედამიწას და ვერავინ მიპოვნია ისეთი, რომ დავუმეგობრდე და მე შემეყვარებდა. ერთი შენმა დაბადებამ შემაფიქრინა. რომ გაიზარდე, მივხვდი, ვინც მჭირდებოდა. ეს შენ ხარ, დამიმეგობრდები? თუ კი, მოხარული ვიქნები.

ვარსკვლავი სანჩაკულია.

ნინი სიხარულით ცას ეწია. სამი წრე შემოურბინა ოთახს და შემდეგ ფურცლის ძებნას შუდგა. ფურცელი რომ იპოვა, მისწერა, რომ დაუმეგობრდებოდა.

გავიდა 10 დღე, რაც ნინის პირველი წერილი მოუვიდა. ნინიმ მას სთხოვა, რომ სანჩაკულიას თავისი ენა ესწავლებინა და სანჩაკულიაც დათანხმდა, ამიტომ ნინიმ ერთ თვეში ისწავლა ლაპარაკი, წერა და კითხვა ვარსკვლავეთის ენაზე. ასე დამეგობრდნენ ნინი და სანჩაკულია.

წერილი 8

ნინიიიიიიიიიიიიიიიიიიიიი

გესმის ჩემი???? გაგიგონია.... მთელი ცა გავაყრუე, შენ კი ვითომდა აქ არაფერიო, ქუჩაში მიაბიჯებ და რომელიღაც შენს მეგობარს ეჩურჩულები... ვგრძნობ, რომ ლურჯი ვხედები და ქიმები წითლად იწყებენ ფეთქვას, ეს იმას ნიშნავს, რომ ვბრაზდები და შურის ეშმაკი შემოახტა ჩემს მე-7 და მე-8 ქიმს.

ახლახან გამომეღვიძა. შენმა მშვენიერმა ზღაპარმა და გვირილების შხაპმა ისე ჩამამინა, რომ რამდენიმე კვირაა გაუნძრევლად მძინავს. კბილებიც კი რახანია აღარ გამომიხეხია...(((შენთვის წერილი დაგვიანების გარდა, სანამ მე მეძინა, ჩემი ბებია მარსოს და ქუშკარი დედამიწაზე დაშვებულა და რად გადაქცეულა თუ იცი? არ დაიჯერებ, მეც გაოგნებული დავრჩი – ხალიჩების საბერტყ ჯოხად! გაგიჟება შეიძლება! ნუთუ ვარსკვლავად ყოფნა უფრო საინტერესო და მოსახერხებელი არ არის?

ძალიან, ძალიან, ძალიან მომეწონა შენი შეთხზული ზღაპარი, მაგრამ ხელმეორედ მიბრუნება მეშინია, ისევე რომ დამეძინოს, ხომ გამიგულისდები და იფიქრებ – დამივიწყაო... არ იფიქრო რა ასე, ნინიი! მე შენ ძალიან, ძალიან მჭირდები, რადგან ძალიან, ძალიან მიყვარხარ! რომ იცოდე, როგორ მიხდება შენი სამაჯური... ჩვენს შორის დარჩეს და... სხვა ვარსკვლავები შურისგან გულზე სკდებიან. მეშინია, არ დავკარგო და მე-7 ქიმი სულ აპრეხილი დამაქვს.

კიდევ მომწერე რა ზღაპარი. ისე მომწონს წარმოსახვაში მაინც ერთად რომ ვართ, თითქოს ერთად ვცხოვრობთ. მე ჩემი ღრუბლის იატაკიდან კიდევ ერთი საწოლი ამოვწელე და შენ მოგაკუთვნე. თუ როდესმე ჩემთან სტუმრობას გადაწყვეტ, თუ მოგეწონება, აქ დაგაწვენ. სასურველ ფორმას შენ თვითონ მისცემ, ისე იცოდე... მე ცოტას კი ვხვრინავ, მაგრამ შენი ჩამოსვლისთვის, გპირდები, გადავეჩვევი. ახლა კი ვწევარ და შენზე ვფიქრობ ძალიან მოწყენილი, რადგან მენატრები და ჯერჯერობით ჩამოსვლას ვერ ვახერხებ. როგორ არიან შენები და სამი ნათლია? განსაკუთრებით ის მაინტერესებს, მე რომ მგავს...

შენგან მართლაცდა არაჩვეულებრივი ვარსკვლავი დადგებოდა... უბრალოდ...არასწორ ადგილას გაჩნდი... წარმოგიდგენია... აქ ჩამოვსხდებოდით ხოლმე ჩემს მეგობარ გამჭვირვალე ანგელოზებთან ერთად ფაფუკი ღრუბლის კიდეზე, ფეხების ქნევა-ქნევაში მიტკლისფერი გაქვავებული ქაფისგან გამოვჭრიდით ფანტელებს დედამიწაზე გადასაყრელად... შენ მოგეწონებოდა... ძალიან სახალისო საქმიანობაა და თან თითოეული ისეთი

ლამაზი და განსხვავებული გამოდის....

... მაგრამ მაინც არაუშავს, გულს ნუ გაიტეხ – მე შენში ვარსებობ, შენ კი – ჩემში. ჯერ ასე ვიყოთ, მერე კი... ვნახოთ.

არ მოიწყინო. ველოდები შენს წერილს და ზღაპარს.

გპირდები, ასე სულმოუთქმელად აღარ წავიკითხავ, აღარც გვირილის წვიმას შევეშვერ თავს და წერილსაც აღარ დაგიგვიანებ.

მუდამ შენი სანჩაკულია

ბოლოსიტყვაობა

მე კი „დამასტუკა“ ნინიმ, მაგრამ მე მაინც გავაგრძელე სანჩაკულიას ცხოვრების გზა. როცა დრო დადგა, მიწაზე დავეშვი და ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე ულამაზეს კენჭად ვიქეცი. ხალიჩების საბერტყე ჯოხად და ხვლიკად ქცევამ დიდად არ მომხიბლა. ოკეანის გრილი ქაფიანი წყალი ხშირად ამლოკავს ხოლმე, მაგრამ ჩემს სიმშვენიერეს ვერაფერს აკლებს. დროდადრო, როცა სცალია, ღრმა ფსკერის აბდაუბდა ამბებს მიყვება.... ხანდახან შუა თხრობის დროს ჩასთვლემს და ხვრინვასაც ამოუშვებს ხოლმე... დაბერდა... რა ჰქნას... არაა ადვილი სულ არსებობა...

ერთია მხოლოდ, მენატრება ნინი... ველოდები, როდის ჩამოვა და, როგორც ბებიჩემი მარსო იტყოდა, თავის „ოტროველა“ ფეხს როდის დამადგამს. ნეტავი, თუ მიგრძნობს... მე? მე – აუცილებლად!!!!